დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N ბრძანებით 09.12.2019
ცვლილებები განხორციელდა აკადემიის დირექტორის
2025 წლის 25 აგვისტოს N15548 ბრძანებით

დანართი 17

შპს „გეოგლობალ აკადემიის“ სოციალურად მოწყვლადი პროფესიული სტუდენტების კატეგორიის განსაზღვრის შესახებ

1. განისაზღვროს სოციალურად მოწყვლადი პროფესიულ სტუდენტთა კატეგორია:
ა) სოციალურად დაუცველთა ბაზაში შეყვანილი ოჯახიდან;
ბ) იძულებით გადაადგილებული ოჯახიდან;
გ) მრავალშვილიანი ოჯახიდან;
დ) მარტოხელა მშობელი;
ე) შეზღუდული შესაძლებლობის ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე;
ვ) მარჩენალდაკარგული ოჯახიდან;
ზ) სხვა გარემოებები, რის გამოც მოკლებულია სხვა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომ სერვისებზე.
2. განისაზღვროს სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისათვის მხარაჭერის მექანიზმები:
ა) სწავლის საფასურის შემცირება;
ბ) სწავლის საფასურისგან გათავისუფლება;
გ) სწავლის საფასურის გადახდის გადავადება;
დ) დასაქმების ხელშეწყობა;
ე) სხვა ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს სოციალურად მოწყვლადი პროფესიული სტუდენტების განათლების ხელმისაწვდომობას.
3. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათისა და პროფესიული სტუდენტის განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიის დირექტორი.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დააევალოს ფინანსურ მენეჯერს.